

၉၈၅၅၅

ჯეფრი იუჯინიდი

თვითმკვლელი ქაღალდები

დოქტორი
გიორგი იოსელიანი

ჯეფრი იუჯენიდისი
თვითმკვლელი ქალები

Jeffrey Eugenides
THE VIRGIN SUICIDES

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ

რედაქტორი: ირმა ტაველიძე
დამკაბადონებელი: ნინო გურული
ყდის დიზაინერი: ნინი ბაკურაძე

© 1993 by Jeffrey Eugenides
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2015, 2025
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-910-1

[www. diogene. ge](http://www.diogene.ge)

ვეძღვნე გასსა და ვანდას

ერთი

იმ დილას, როდესაც ლისბონთა ოჯახის უკანასკნელმა ქალიშვილმა მოიკლა თავი – ამჯერად ეს მერი იყო, რომელმაც, ისევე, როგორც ტერეზამ, საძილე აბები დალია – სახლში სასწრაფო დახმარების ორი თანამშრომელი მოვიდა. მათ უკვე ზუსტად იცოდნენ, სად ინახებოდა დანები, სად იდგა გაზქურა და სარდაფის რომელ კოჭზე შეიძლებოდა მარყუჟიანი თოკის დაკიდება. თანამშრომლები სასწრაფო დახმარების მანქანიდან გამოვიდნენ. ჩვენი აზრით, ძალზე ნელა ირჯებოდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა – ლიპიანმა – ძლივს ამოიხვნეშა: „ბიჭებო, ტელეფურნალისტები კი არ ვართ. უფრო სწრაფად ვერ ვივლით“. მძიმე სასუნთქ აპარატს და კარდიოგრამის აპარატს მოათრევდა. უშნოდ გაბარდულ ბუჩქებს ჩაუარა და გაუთიბავი გაზონი გადათელა, რომელიც სულ ცამეტი თვის წინ, როდესაც ეს შემზარავი ამბები დაიწყო, შესანიშნავად იყო მოვლილი.

პირველი გახლდათ უმცროსი და, ცამეტიოდე წლის სესილია, რომელიც, სტოიკოსების მსგავსად, აბაზანაში ჩაწვა და მაჯებზე ვენები გადაიჭრა. სასწრაფო დახმარების შეძრწუნებული თანამშრომლები მონუსხულებივით გახევდნენ, როდესაც დაინახეს, რაოდენ მშვიდად იწვა მღვრიე ვარდისფერ წყალში ეს გოგონა. თვალები შეშლილივით ჩაჰყვითლებოდა, ხოლო ბავშვურ სხეულს ზრდასრული ქალის სურნელი ჰქონდა. სააბაზანოში მაშინვე კივილით შემოვარდა მისის ლისბონი და თანამშრომლები გონს მო-

ვიდნენ. შემზარავი სურათი იხილეს: საფენზე დაღვრილი სისხლი, მისტერ ლისბონის სამართებელი უნიტაზში და შემღვრეული წყალი. თბილი წყალი სისხლდენას აძლიერებდა, ამიტომ სესილია აბაზანიდან ამოიყვანეს და ხელები ჩალიჩებით გადაუკრეს. გოგონას სველი თმა ზურგზე ეფინა, ხელ-ფეხი უკვე გალურჯებოდა. როდესაც ხელები გაუხსნეს, დაინახეს ღვთისმშობლის ხატი, რომელიც სესილიას აკოკრილ მკერდში ჰქონდა ჩახუტებული.

ეს მოხდა იენისში, ქინქლების სეზონში, როდესაც ჩვენს ქალაქს ფარავს საბურველი ამ წვრილი მწერებისა, მხოლოდ ერთ დღეს რომ ცოცხლობენ. მათი გუნდები დაბინძურებული ტბის წყალმცენარეებს სწყდება, ქალაქისკენ მოიწევენ და ფანჯრის მინებს ეკვრის; ცოცხალ ხალიჩასავით ეფინება ავტომანქანებს, ქუჩის ფარნებს, მუნიციპალური ნაემისადგომის ფიცრებს და გირლანდებად ეკიდება იალქნიანი იახტების ფერადოვან ტაკელაჟს, რომელიც ნაგვისფერი ხდება. ლისბონთა მეზობლად მცხოვრებმა მისის შირმა შეგვატყობინა, რომ სესილია თვითმკვლელობის მცდელობამდე ერთი დღით ადრე ნახა. გოგონა გზისპირას იდგა. როგორც ყოველთვის, ძველმოდური, კალთამოჭრილი საქორწინო კაბა ეცვა და დაჟინებით აკვირდებოდა იქვე მდგარ „ტენდერბერგის“ მარკის ავტომანქანას, რომელიც ქინქლებით იყო დაფარული. „იქნებ ცოცხი მოგეტანა, ჩემო კარგო“, – ურჩია მისის შირმა. მაგრამ სესილია ადგილიდან არ დაძრულა. ნათელმხილველს წააგავდა. „დახოცილები არიან, – განაცხადა გოგონამ, – მხოლოდ ოცდაოთხი საათი ცოცხლობენ. კვერცხებიდან იჩეკებიან, კვერცხებს დებენ და იხოცებიან. ჭამასაც კი ვერ ასწრებენ“. მან მინაზე აფუთფუთებული ქინქლების აქაფებულ ფენაში თითი ჩაყო და გამოიყვანა თავისი ინიციალები: ს. ლ.

შევეცადეთ, ფოტოსურათები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დაგველაგებინა, თუმცა ამდენი წლის შემდეგ ეს ადვილი როდი გახლდათ. ზოგიერთი მათგანი საკმაოდ შელახული, მაგრამ მაინც საინტერესო იყო. ექსპონატი №1 – ლისბონთა სახლის ფოტოსურათი – სესილიას თვითმკვლელობის მცდელობამდე ცოტა ხნით ადრე გადაიღო უძრავი ქონებით მოვაჭრე აგენტმა – მის კარმინა

დ'ანჯელომ, რომელიც მისტერ ლისბონმა დაიქირავა თავისი სახლის (სადაც დიდი ხანია, ველარ ეტეოდა მისი მრავალრიცხოვანი ოჯახი) გასაყიდად. ფოტოსურათზე მოჩანდა შიფერის სახურავი, რომელსაც არც ერთი ფილა არ აკლდა. პარმაღს არ ჩრდილავდა ბუჩქები, ხოლო მინები ჯერ კიდევ მთელი იყო. მყუდრო ქალაქგარეთა სახლი. მეორე სართულის ფანჯარაში ჩანდა რაღაც ბუნდოვანი ლაქა, რომელშიც მისის ლისბონმა თავისი ქალიშვილი, მერი ამოიცნო. „ძალზე თხელი თმა მაქვსო, ამბობდა, და ამიტომ ხშირად იჩეჩავდა!“ – განაცხადა მისის ლისბონმა წლების შემდეგ, როდესაც იხსენებდა, როგორ გამოიყურებოდა მისი ქალიშვილი ხანმოკლე ამქვეყნიური ცხოვრების განმავლობაში. ფოტოსურათზე მერი ფენით იშრობს თმას. თავზე თითქოს ცეცხლი უკიდა, მაგრამ ეს განათების ბრალია. 13 ივნისი იყო. ჰაერის ტემპერატურა ოცდაათ გრადუსს აღწევდა. უღრუბლო ცაზე მზე კაშკაშებდა.

როდესაც სასწრაფო დახმარების თანამშრომლები დარწმუნდნენ, რომ სისხლი კი აღარ მოედინებოდა, არამედ ოდნავ მოწვეთავდა, სესილია საკაცზე დაანვინეს და იქვე მდგარი სასწრაფო დახმარების მანქანისკენ წაიყვანეს. ტახტრევანში წამოწოლილ პატარა კლეოპატრას წააგავდა. სახლიდან პირველად ის ხალისიანი თანამშრომელი გამოვიდა (ლისბონთა სახლში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების დროს არაერთხელ ვიხილეთ და შემდგომში „შერიფად“ მოვნათლეთ), რომელსაც უაიტ ერპის მსგავსი მოგრძო ულვაში ჰქონდა, მას კი ღიპიანი მოჰყვა – საკაცის სახელური ეჭირა, მოხდენილად მოაბიჯებდა გაზონზე და ისე ჩაშტერებოდა თავის „პოლიციურ“ ფეხსაცმელებს, თითქოს მათზე ძაღლის განავალს მოჰკრა თვალი. მოგვიანებით, როდესაც სამედიცინო ხელსაწყოებს გავეცანი, მივხვდით, რომ სისხლის წნევის ინდიკატორს უყურებდა. სასწრაფო დახმარების ოფლით დაცვარული თანამშრომლები ბორძიკით მიუახლოვდნენ მოციმციმე ფურგონს. ღიპიანი კრიკეტის სათამაშო მოედნის კარს წამოედო და გაბრაზებით ჩასცხო ნიხლი.

კარი მოტყდა, მინა მაროსავით მიმოაბნია და ბილიკზე დაენარცხა. სწორედ იმ წამს მისის ლისბონი, რომელიც სესილიას ფლანგელის ღამის პერანგს მოაფრიალებდა, პარმალზე ისეთი შემზარავი ყვირილით გამოვარდა, რომ დროის დინებაც კი შეწყდა. ირგვლივ ყველაფერი მყისიერად დაემგვანა გადანათებულ ფოტოსურათს – ოთხივე ფიგურა ერთ ადგილას გაშეშდა უფერულ ხეებქვეშ, თითქოს აღმოედებულ ბალახზე: ორი მონა, რომელთაც მსხვერპლი მიჰყავდათ საკურთხეველისკენ (საკაცე ფურგონის ღია კარში შედეს), ქურუმი ქალი, რომელსაც ჩირაღდანი ეკავა ხელში (ფლანგელის პერანგს მოაფრიალებდა) და ცოცხალმკვდარი ქალწული, რომელიც ცდილობდა, იდაყვებზე წამოწეულიყო და გაცრეცილ ტუჩებზე ანგელოზის ღიმილი ეფინა.

მისის ლისბონი სასწრაფო დახმარების ფურგონში ავიდა, ხოლო მისტერ ლისბონი მათ ფრთხილად გაჰყვა თავისი ავტომანქანით. ლისბონთა ორი ქალიშვილი შინ არ იმყოფებოდა: ტერეზა სასკოლო სამეცნიერო საზოგადოების შეკრებაზე იყო პიტსბურგში, ბონი კი სამუხიკო სკოლის საზაფხულო ბანაკში ცდილობდა, ფლეიტაზე დაკვრა შეესწავლა, მას შემდეგ, რაც ვერ იგუა პიანინო (ძალზე პატარა ხელები ჰქონდა), ვიოლინო (ნიკაპი ასტიკვდა), გიტარა (თითები დაუსისხლიანდა) და საყვირი (ზედა ტუჩი შეუშუპდა). სასწრაფო დახმარების მანქანის სირენის ხმის გაგონებისთანავე მერი და ლუქსი ვოკალის გაკვეთილიდან გამოიქცნენ, ქუჩის გადაღმა რომ უტარებდა მისტერ ჯესაპი. ხალხით გაჭედვით სააბაზანოში შეცვივდნენ და ისევ დაეცათ თავზარი, როგორც მათ მშობლებს, როდესაც სესილიას წარმართული სიშიშველ და დასისხლიანებული ხელები იხილეს. გოგონები გარეთ გამოვიდნენ და ერთმანეთს გადაეხვივნენ წამოზრდილი ბალახით დაფარულ იმ პანანინა ადგილზე, რომელიც რატომღაც ხელუხლებლად დატოვა ბუჩქმა – ჩაფსკვნილმა ყმანვილმა, შაბათობით გაზონებს რომ კრეჭდა. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს კეთილმოწყობის სამსახურის მუშაკები, რომლებიც სატვირთო მანქანით მოვიდნენ, ცდილობდნენ, გახმობის პირას მყოფი თელები გადაერჩინათ. სასწრაფო დახმარების მანქანა დაიძრა, ხოლო ბოტანიკოსმა და მისმა თანაშემწეებმა,

რომლებიც ტუმბოებით ინსექტიციდს ქაჩავდნენ, თავიანთ საქმიანობას თავი დაანებეს და ფურგონს თვალი გააყოლეს. როგორც კი მანქანა თვალს მიეფარა, მათ ხის შენამვლა განაგრძეს. დიდებული თელა, ძლივს რომ მოჩანს №1 ექსპონატის უკანა პლანზე, ველარ უმკლავდებოდა სოკოს, რომლის სპორებიც ჰოლანდიურმა ხოჭოებმა გაავრცელეს. ბოლოს ხე მოჭრეს.

სასწრაფო დახმარების თანამშრომლებმა სესილია მიიყვანეს კერჩევალისა და მომის ქუჩების კუთხეში, საავადმყოფო „ბონ სეკურში“. რენიმაციის განყოფილებაში სესილია საოცრად გულგრილად აკვირდებოდა ექიმების მცდელობებს. ჩაყვითლებული თვალები არც კი დაუხამხამებია, წარბიც არ შეუხრია, როდესაც მკლავში ნემსი ჩაარჭვეს. ექიმმა არონსონმა გოგონას გადასერილ მაჯებზე ნაკერები დაადო და სისხლის გადასხმიდან ხუთი წუთის შემდეგ განაცხადა, მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებაო. შემდეგ სესილიას ლოყაზე ხელი მოუთათუნა და ჰკითხა: „აქ როგორ მოხვდი, ჩემო კარგო? ჯერ ძალიან პატარა ხარ იმისთვის, რომ იცოდე, რა საშინელია ცხოვრება“.

და სწორედ მაშინ გააცნო სესილიამ მას თავისი (ან უკვე უსარგებლო) გამოსამშვიდობებელი წერილის ზეპირი ვერსია.

– ექიმო, ცხადია, რომ ცამეტის წლის გოგონა არასდროს ყოფილხართ, – თქვა მან.

რა ასაკისა იყვნენ ლისბონთა გოგონები? სესილია – ცამეტი წლისა, ლუქსი – თოთხმეტისა, ბონი – თხუთმეტისა, მერი – თექვსმეტისა და ტერეზა – ჩვიდმეტისა. საშუალო ტანისანი იყვნენ. მრგვალი თეძოები ჯინსის შარვლებში ჰქონდათ გამოკვართული. ფაფუკი ლოყები უხამსი სიშიშვლის შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს მხოლოდ და მხოლოდ პირბადით დაფარული სახეების ყურებას ვიყავით ჩვეული. ყველას უკვირდა, როგორც გაუჩნდათ მისტერ და მისის ლისბონებს ასეთი ლამაზი ქალიშვილები. მისტერ ლისბონი საშუალო სკოლაში მათემატიკას ასწავლიდა. ისეთი

კაფანდარა იყო, რომ მოზარდს წაგავდა და თვითონაც უკვირდა, ჭაღარა რომ შეეპარა. მაღალი ხმით ლაპარაკობდა. ჯო ლარსონი ჰყვებოდა, რომ როდესაც თვითმკვლელობის მცდელობაში ექვმიტანილი ლუქსი საავადმყოფოში წაიყვანეს, მისტერ ლისბონი ატირდა. არ გაგვძნელებია მისი ქალური ქვითინის წარმოდგენა.

მისის ლისბონთან ყოველი შეხვედრისას ამაოდ ვცდილობდით, მის სახეზე იმ სილამაზის ნაშთი აღმოგვეჩინა, რომლითაც, ალბათ, ოდესღაც გამოირჩეოდა. საგონებელში გვაგდებდა ეს გათქვირებული მკლავები, უმოწყალოდ გაკრეჭილი ფოლადისფერი თმა და ტლანქი სათვალე, რომელიც მხოლოდ ბიბლიოთეკარს თუ მოუხდებოდა. მისის ლისბონის ნახვას იშვიათად ვახერხებდით, უფრო – დილაობით, როდესაც თავიდან ფეხებამდე გამოკოპწიავებული (მზის ამოსვლამდე!) ზღუბლთან მიდიოდა, რათა რძით სავსე, შეთრთვილული მუყაოს კონტეინერები აედო. მას ვხედავდით, აგრეთვე, კვირადღეობით, როდესაც ლისბონთა ოჯახი ავტომანქანით მიეშურებოდა წმინდა პავლეს ეკლესიაში, ტბასთან. ამ დროს მისის ლისბონი დედოფალივით გოროზი იყო, თავისი საუკეთესო ხელჩანთა ეკავა, გაფაციცებით ათვალთვლებდა ქალიშვილების სახეებს და ავტომანქანაში ჩაჯდომის უფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აძლევდა, თუ მათზე კოსმეტიკის კვალს ვერ აღმოაჩენდა. ჩვეულებრივ, ლუქსს სახლში აბრუნებდა ხოლმე, რათა მას უფრო ნაკლებად გულამოჭრილი სამოსი ჩაეცვა. ეკლესიაში თითქმის არც ერთი არ დავდიოდით, ასე რომ, საკმარისი დრო გვქონდა ლისბონების ოჯახის სათვალთვალოდ: ძველი ფოტოსურათივით გაცრეცილი უფროსი თაობა და შინ შეკერილ, მაქმანებითა და არშიებით მორთულ კაბებში გამოწყობილი ხუთი მზეთუნახავი ქალიშვილი, მომწიფებული სხეულებით.

ამ სახლში მხოლოდ ერთი ყმანვილი შეუშვეს. პიტერ სისენი მისტერ ლისბონს სასკოლო კაბინეტში მზის სისტემის მპრუნავი მოდელის დამონტაჟებაში დაეხმარა და საპასუხოდ მათემატიკოსმა ნორჩი თანაშემწე სადილად დაპატიჟა. პიტერმა გვიამბო, რომ მაგიდის ქვეშ გოგონები ყოველი მხრიდან განუწყვეტილად ურტყამ-

დნენ ფეხებს (ამიტომ ვერ მიხვდა, რომელი მათგანი ექცეოდა ასე), მოციმციმე თვალებს არ აცილებდნენ და მიჯრილ კბილებს აელვარებდნენ – ლისბონთა გოგონების ერთადერთი ნაკლი, ალბათ, ეს კბილები გახლდათ. მხოლოდ ბონი არ უყურებდა ალმაცერი მზე-რით პიტერ სისენს და მალულად ფეხს არ ურტყამდა. თხუთმეტი წლის ღვთისმოსავი გოგონა თავაზიანად პასუხობდა კითხვებზე და ნელ-ნელა აცარიელებდა თავის თეფშს. სადილის შემდეგ პიტერ სისენმა საპირფარეშოში გასვლის უფლება ითხოვა და, რადგანაც ქვედა სართულზე ტერეზა და მერი ჩურჩულებდნენ და ხითხითებდნენ, იძულებული გახდა, გოგონების საპირფარეშოში ასულიყო ზედა სართულზე. როდესაც ჩვენთან დაბრუნდა, აღგვიწერა დაჭმუჭნილი საცვლებით მოფენილი საძინებლები, გოგონების ვნებიანი ხევენისგან გაცვეთილი რბილი სათამაშოები, ჯვარცმაზე შემოხვეული ბიუსტჰალტერი, ფაფუკი სანოლების თავზე დაკიდული გამჭვირვალე ფარდები, ამდენი მომწიფებული გოგონას სურნელით გაჟღენთილი ჰაერი. საპირფარეშოში პიტერმა წყალი ჩაუშვა, რათა ხმაური გადაეფარა და ძებნა დაიწყო. მან საკმაოდ სწრაფად აღმოაჩინა მერი ლისბონის კოსმეტიკის ფარული სამალავი – ნიჟარის თავზე დაკიდული წინდა: წითელი ტუჩსაცხის ტუბები, ფერუმარილი, სადეპილაციო ცვილი (რამაც მიგვახვედრა, რომ მერის ზედა ტუჩზე ღინღლი ჰქონდა, თუმცა ის არასოდეს გვინახავს). ორი კვირის შემდეგ პირსზე შევხვდით მერის, რომლის მუქი წითელი ტუჩებიც ზუსტად იმ ფერისა იყო, პიტერმა რომ გვითხრა და მივხვდით, ვისი საგანძურიც აღმოაჩინა ჩვენმა მეგობარმა.

პიტერმა ჩამოთვალა დეზოდორანტები, სუნამოები და გაუხეშებული კანის უჯრედების მოსაცილებელი კოსმეტიკური ტამპონები. გაგვიკვირდა, როდესაც შევიტყვეთ, რომ სააბაზანოში საშხაპე კაბინა არ იყო; გვეგონა, რომ გოგონები ისევე მიჩვეულნი იყვნენ ყოველ საღამოს ბანაობას, როგორც – კბილების გახეხვას. თუმცა იმედაცარუება მყისვე დაგვაგინცდა: სტივენს რალაც ისეთი აღმოეჩინა, რასაც ყველაზე მგზნებარე ოცნებებშიც კი ვერ წარმოვიდგენდით. ნაგვის ვედროში ეგდო მოჭმუჭნილი „ტამპექსი“, რომელსაც წითელი

ლაქები აჩნდა – ის-ის იყო, ერთ-ერთ გოგონას ამოელო და გადაეგდო. სისენმა გვითხრა, რომ მისი წამოღება და ჩვენთვის ჩვენება უნდოდა; რომ ეს საზიზღრობა კი არ იყო, არამედ – შესანიშნავი რამ. თანამედროვე ხელოვნების ნიმუშს ჰგავდაო, ალიარა. შემდეგ კი დასძინა, რომ კედლის კარადაში კიდევ თორმეტი „ტამპექსი“ ეწყო. მაგრამ ამ დროს, თურმე საპირფარეშოს კარზე ლუქსმა დააკაკუნა და ჰკითხა, ცოცხალი ხომ ხარო? პიტერმა სასწრაფოდ გააღო კარი. თმა, სადილობისას ბერეტი რომ უფარავდა, ახლა ქალიშვილს მხრებზე ეფინა. ლუქსი სააბაზანოში არ შესულა, თვალებში ჩააშტერდა პიტერს, შემდეგ ირონიულად ჩაიცინა და უთხრა: „მორჩი? აქ საქმე მაქვს“. კარადისკენ გაეშურა, იქვე დადგა და ხელები ზურგს უკან შემოიწყო. „მარტო უნდა დავრჩე. გახვალ?“ – ჰკითხა ბიჭს. სახელეწილი პიტერ სისენი კიბეზე დაეშვა, მადლობა გადაუხადა მისტერ და მისის ლისბონებს შესანიშნავი სადილისთვის და სასწრაფოდ გამოეშურა ჩვენკენ, რათა ეუწყებინა: ლუქს ლისბონს სწორედ ახლა, ამწუთას – როდესაც ცაში ქინქლები ირეოდნენ, ქუჩებში კი ლამპიონები ინთებოდა – ფეხებს შორის სისხლი სდიოდა.

როდესაც პოლ ბალდინომ პიტერ სისენის ნამბობი მოისმინა, დაიფიცა, ლისბონთა სახლში შევალწევ და კიდევ უფრო წარმოუდგენელ ამბებს შევესწრებო. „ვნახავ, როგორ ბანაობენ ეს გოგოები“, – დაგვპირდა ის. თოთხმეტი წლის პოლ ბალდინო განგსტერივით მამაცი იყო და მკაცრი იერი ჰქონდა, რითაც მამამისს – სემი ბალდინოს (მეტსახელად „ზვიგენს“) და იმ მამაკაცებს ჰგავდა, რომლებიც ხშირად სტუმრობდნენ მის ოჯახს. მათი ვეება სახლის სადარბაზო შესასვლელის ორივე მხარეს ქვის ლომები იწვნენ. პოლს იმ ქალაქელი მტაცებლებივით დინჯი მიხვრა-მოხვრა ჰქონდა, ოდეკოლონის სუნი რომ ასდით და მოვლილი ფრჩხილები აქვთ. ჩვენ პოლსაც ვუფრთხოდით და მის გონებაჩლუნგ ბიძაშვილებსაც – რიკო მანოლოს და ვინს ფუზილის. გაზეთებში ხშირად აქვეყნებდნენ მათი სახლის ფოტოსურათებს, ჯავშნიანი შავი ლიმუზინები კი

წრიულად მოძრაობდნენ იტალიიდან ჩამოტანილი დაფნის ხეებით დაჩრდილულ ბილიკებზე. პოლს თვალებქვეშ მუქი ჩრდილები ეფინა, მსხვილი ბარძაყები ჰქონდა, ხოლო გაპრიალებულ ფეხსაცმელს ბეისბოლის თამაშის დროსაც კი არ იხდიდა. ის ადრეც ახერხებდა აკრძალულ ადგილებში შეღწევას. მართალია, მის მიერ მოპოვებული ცნობები ყოველთვის არ იყო სარწმუნო, მაგრამ მაინც ალგვაფრთოვანებდა დაზვერვისას გამოჩენილი მისი სიმამაცე. მეექვსე კლასში, როდესაც კინოდარბაზში მხოლოდ გოგონები შეიყვანეს საგანგებო ფილმის სანახავად, სწორედ პოლ ბალდინომ შეაღწია იქ და ძველ საარჩევნო კაბინაში დაიმალა, რათა მოგვიანებით ჩვენთვის მოეთხრო ფილმის შინაარსი. მას სათამაშო მოედანზე ველოდებოდით, ქვიშას ფეხებით ნერვიულად ვქექავდით. ბოლოს პოლი, როგორც იქნა, გამოჩნდა. პირში კბილსაჩიჩქნი ჰქონდა გარჭობილი. თითზე ოქროს ბეჭედს ატრიალებდა. გავინაბეთ.

– ფილმი ვნახე, – გამოაცხადა პოლმა, – ვიცი, რაზეცაა. როდესაც გოგოებს თორმეტი წელი უსრულდებათ... – და ჩვენკენ გადმოიხარა: – ძუძუებიდან სისხლი მოსდით.

ახლა უკვე ვიცოდით, რომ ეს ასე არ იყო, მაგრამ პოლ ბალდინოსი მაინც გვეშინოდა და პატივისცემით ვექცევოდით. უშველებელი ბარძაყები კიდევ უფრო გაუსუქდა, ხოლო თვალებქვეშ თითქოს მტვერი და სიგარის ფერფლი დაეფინა. ამიტომ ისე გამოიყურებოდა, თითქოს მკვლელობა მისთვის უცხო ხილი არ გახლდათ. დაახლოებით ამავე დროს ქალაქში გავრცელდა ჭორი საიდუმლო გვირაბის შესახებ. რამდენიმე წლის წინ, ბალდინოს წვეტიანი ღობის მიღმა, რომელსაც ორი ერთნაირი გერმანული ნაგაზი იცავდა, ერთ დილას მუშათა ჯგუფი გამოჩნდა. ჭეშმარიტი მიზნის შესანიღბავად, მათ მოედნის გარშემო პალოები ჩაარჭვეს და ზედ ბრეზენტი გადააფარეს, ხოლო სამი დღის შემდეგ, როდესაც ის აიღეს, გაზონის შუაგულში დავინახეთ ხელოვნური (ცემენტისგან გამოძერწილი) ხის ტანი, ფუღუროთი და ცისკენ აღმართული ორი გადაჭრილი ტოტით. ხეში ამოჭრილი იყო სოლისებრი ღრმული, რომელზეც ლითონის ბადე იყო აფარებული.

პოლ ბალდინო გვარწმუნებდა, ეს ბარბექიუსთვის არის განკუთვნილი, და ჩვენც დავუჯერეთ, მაგრამ დრო გადიოდა და ამ მოწყობილობით არავის უსარგებლია. გაზეთები წერდნენ, რომ „ბარბექიუს“ დადგმა 50 ათასი დოლარი დაჯდა, მაგრამ იქ არც ერთი ჰამბურგერი თუ ჰოტ-დოგი არ მოუშადავებიათ. მალე გავრცელდა ჭორი, ხის ქვეშ გათხრილი საიდუმლო გვირაბით საიდუმლო სამალავში მოხვდები, მდინარის პირას, სადაც „ზვიგენის“ ჩქაროსნული კატარლა დგასო; ბრეზენცის ქვეშ მუშები თავიანთი მუშაობის ჭეშმარიტ მიზანს მალავდნენო. ჭორების გავრცელებიდან რამდენიმე თვის შემდეგ პოლ ბალდინო საკანალიზაციო მიწებით ძვრებოდა სხვის სარდაფებში. როცა ჩეიზ ბუელის სახლში ავიდა, თავიდან ფეხებამდე ამოგანგლული იყო რუხ მტვერში, რომელიც გამხმარი სკორეს სუნით ყარდა. დენი ზინის სარდაფშიც შეძვრა და ამჯერად თან ჰქონდა ფარანი, ბეისბოლის კეტი და პაკეტი ორი მკვდარი ვირთხით. ბოლოს ტომ ფაჰიმის ბოილერთან გამოჩნდა და კეტი სამჯერ დაარტყა მას.

პოლი ყოველთვის გვიხსნიდა, რომ მას, უბრალოდ, თავისი სახლის ქვეშ გაყვანილი წვიმის წყლის სადინარის დათვალიერება სურდა, მაგრამ დაიკარგა. ჩვენ კი ვეჭვობდით, რომ სინამდვილეში მამამისის საიდუმლო გვირაბში სათამაშოდ ძვრებოდა. როდესაც მან მოინდომა ენახა, როგორ ბანაობდნენ დები ლისბონები, ვივარაუდეთ, რომ ლისბონების სახლში შეძრომას იმავე ხერხით აპირებდა, რომლითაც სხვა სახლებში აღწევდა. ვერასოდეს შევიტყვეთ, ზუსტად რა მოხდა. პოლიციელები პოლ ბალდინოს ერთი საათის განმავლობაში ჰკითხავდნენ, მაგრამ მათაც იგივე მოისმინეს მისგან, რაც – ჩვენ. პოლმა თქვა, რომ საკუთარი სახლის საძირკვლის ქვეშ გაყვანილ საკანალიზაციო მილში შეძვრა და გზა განაგრძო. რამდენიმე ფუტის გავლის შემდეგ ისვენებდა. მან აღწერა ვეება მიწები, მუშების მიერ დატოვებული ყავის ჭიქები და სიგარეტის ნამწვები, აგრეთვე, ნახშირით შესრულებული ნახატები შიშველი ქალებისა, გამოქვაბულებში ნაპოვნ ნახატებს რომ წაავაგდა. მიმართულებას ალაღბებდზე ირჩევდა. როცა სახლების ქვეშ

დადიოდა, თითქოს მათ სამზარეულოებში მომზადებული კერძების სუნს გრძნობდა. ბოლოს საკანალიზაციო ხუფიდან ამოძვრა და ლისბონთა სარდაფში აღმოჩნდა. ტანსაცმელი დაიბერტყა და სახლის პატრონების საძებრად გაემართა, მაგრამ როდესაც მიიხედ-მოიხედა, მიხვდა, რომ სახლში არავინ იყო. ის ხმამაღლა უხმობდა მათ და ოთახებში დადიოდა. შემდეგ მეორე სართულზე ავიდა. იქ წყლის ჩხრიალის ხმა მოესმა და სააბაზანოს კარს მიუახლოვდა. პოლი ამტკიცებდა, რომ რამდენჯერმე დააკაკუნა კარზე. მოგვიანებით კი გვიამბო, რომ როდესაც შიგ შევიდა და დაინახა შიშველი სესილია, რომელსაც მაჯებიდან სისხლი სდიოდა, წამიერად გაოგნდა; შემდეგ თავს მოერია, კიბე ჩაირბინა და პოლიციამი დარეკა, რადგან მამა ყოველთვის ურჩევდა, საჭიროების შემთხვევაში სწორედ პოლიციისთვის მიემართა.

რა თქმა უნდა, სასწრაფო დახმარების თანამშრომლებმა ღვთისმშობლის სურათი მაშინვე აღმოაჩინეს. სწრაფად უნდა ემოქმედათ, ამიტომ ღიპიანმა ის ჯიბეში ჩაიდო; მხოლოდ საავადმყოფოში გაახსენდა და გადაწყვიტა, მისტერ და მისის ლისბონებისთვის გადაეცა. ამ დროისათვის სესილიას სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებოდა. მისი მშობლები მოსაცდელ ოთახში ისხდნენ – შვებასაც გრძნობდნენ და დაბნეულობასაც. მისტერ ლისბონმა მადლობა გადაუხადა ამ კაცს შვილის გადარჩენისთვის. შემდეგ სურათი შეატრიალა და დაინახა მის უკანა მხარეს დაბეჭდილი ტექსტი:

ჩვენს ქალაქში ცხადდება ღვთისმშობელი, რომელსაც სიკეთე და მშვიდობა მოაქვს დალუპვის გზაზე მდგარი პლანეტისათვის. ისევე, როგორც უფრო ადრე ლურდსა და ფატიმაში მოხდა, ღვთისმშობელი ეცხადება უბრალო, თქვენნაირ ადამიანებს. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად აკრიფეთ 555–მერი.

მისტერ ლისბონმა ორჯერ გადაიკითხა ეს სიტყვები. ამის შემდეგ უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებული კაცის ხმით ამოილულულა: „მოინათლა, კონფირმაცია გაიარა და ახლა მთელი ეს სისულელე სჯერა“.

ეს იყო ერთადერთი მკრეხელური რამ, რაც მთელი ამ ხნის განმავლობაში წამოსცდა. მისის ლისბონმა კი სურათი ხელით მოჭმუჭნა (მიუხედავად ამისა, ის გადარჩა; ჩვენ მისი ფოტოასლი გვაქვს).

ადგილობრივმა გაზეთმა არ გამოექვეყნა შეტყობინება თვით-მკვლელობის მცდელობის შესახებ, რადგან რედაქტორმა, მისტერ ბოუბიმ, გადანყვიტა: დაუშვებელი იყო ამგვარი ტრაგიკული ინფორმაციის განთავსება ახალგაზრდათა ლიგის ყვავილების ზეიმის შესახებ დაწერილ სტატიასა (პირველ კაბადონზე) და მომღიმარ ახალდაქორწინებულთა ფოტოსურათს (უკანასკნელ კაბადონზე) შორის. იმ ნომრის ერთადერთი მნიშვნელოვანი სტატია ეძღვნებოდა სასაფლაოს მუშების გაფიცვას („გვამებს ერთმანეთზე ყრიან, გამოსავალი კი არ ჩანს“), მაგრამ ის მეოთხე გვერდზე იყო გამოქვეყნებული, იმ ცხრილის ქვეშ, რომელშიც მოყვარულების გუნდთა მატჩების შედეგები იყო ჩამოწერილი.

საავადმყოფოდან შინ დაბრუნების შემდეგ მისტერ და მისის ლისბონები ქალიშვილებთან ერთად ჩაიკეტნენ და ერთი სიტყვითაც არ უხსენებიათ მომხდარი. მხოლოდ მისის შირის ზეწოლამ აიძულა მისის ლისბონი, ეხსენებინა „ის ამბავი, სესილიას რომ დაემართა“. დედის თქმით, გოგონა დაეცა და ხელები შემთხვევით გადაისერა. მიუხედავად ამისა, პოლ ბალდინომ, რომელმაც ამდენი სისხლი იხილა, დანახული ზუსტად, ობიექტურად აღწერა და სცადა, მსმენელები დაერწმუნებინა იმაში, რომ სესილიამ განზრახ გადაიჭრა ვენები.

მისის ბაკს უკვირდა, რომ სამართებლის პირი უნიტაზში ეგდო. „მე რომ გადამეჭრა ვენები აბაზანაში, სამართებელს მის კიდეზე დავდებდი“, – განაცხადა მან. ამის შედეგად წამოიჭრა საკითხი, სესილიამ აბაზანაში ჩანოლის შემდეგ გადაიჭრა ვენები, თუ მაშინ, როდესაც იმ საფენზე იდგა, დასისხლიანებული რომ იყო. პოლ

ბალდინოს კი არაფერში ეჭვი არ ეპარებოდა. „სესილიამ ვენები მაშინ გადაიჭრა, როდესაც უნიტაზზე იჯდა, – თქვა მან, – შემდეგ კი აბაზანაში ჩაწვა. სისხლი ყველგან იყო დაღვრილი, ბიჭებო“.

სესილია ზუსტად ერთი კვირის განმავლობაში იმყოფებოდა ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ. საავადმყოფოში დაცული ჩანაწერები ააშკარავებს, რომ მარჯვენა მაჯაზე არტერია მთლიანად ჰქონდა ჩაჭრილი, რადგან გოგონა ცაცია გახლდათ, ხოლო განასერი მარცხენა ხელზე ღრმა არ იყო – არტერიას მხოლოდ ნაწილობრივ შეხებოდა. ექიმებმა თითოეულ ხელზე ოცდაოთხი ნაკერი დაადეს.

შინ დაბრუნებისას სესილიას თავისი საქორწინო კაბა ეცვა. მისი პატცმა, რომლის და „ბონ-სეკურში“ მომვლელად მუშაობდა, განმარტა, რომ გოგონამ საავადმყოფოს ხალათის ტარება არ მოინდომა და მოითხოვა, მისი საკუთარი კაბა მოეტანათ. ექიმმა ჰორნიკერმა (იქაურმა ფსიქიატრმა) წინააღმდეგობა არ გაუწია. სესილია შინ საშინელი ქარიშხლის დროს დაბრუნდა. როდესაც ჭექა-ქუხილი პირველად გაისმა, ზუსტად ლისბონთა სახლის პირდაპირ, ჯო ლარსონთან ვისხედით. ჯოს დედამ ქვემოდან ამოგვძახა, ფანჯრები დახურეთო და მისი თხოვნა დაუყოვნებლივ შევასრულეთ. გარეთ ჰაერი ჩაიხუთა. ქარისგან ატაცებული ქალაღის პაკეტი ტრიალ-ტრიალით აფრინდა ხეების ქვედა ტოტებამდე. შემდეგ თავსხმა დაიწყო, ცა ჩაშავდა და წყვდიაღში ლისბონთა ავტომანქანა გამოჩნდა.

ჯოს დედას ვუხმეთ, რათა ჩვენთან ერთად ეხილა ლისბონთა დაბრუნება სახლში. რამდენიმე წამში გავიგონეთ მისი ფეხის ხმა კიბეზე, რომელზეც ნოხი იყო დაგებული. როდესაც ჩვენთან ერთად დადგა ფანჯარასთან, ავეჯის გასაპრიალებელი სითხის სუნი ვიგრძენით. დავინახეთ, როგორ გააღო მისის ლისბონმა ფეხით ავტომანქანის კარი, გადმოვიდა და ხელჩანთა მოიფარა, რომ არ დასველებულიყო, შემდეგ მოიბუზა, მოიღუშა და ავტომანქანის უკანა კარი გამოაღო. წვიმა არ წყდებოდა. მისის ლისბონს თმა სახეზე ჩამოეშალა. ბოლოს გამოჩნდა სესილიას პატარა თავი, რომელსაც წვიმის გამო კარგად ვერ ვარჩევდით. უცნაურად, ზიგზაგებით მოძრაობდა, ხელებზე მჭიდროდ ჰქონდა გადაკრული სახვევები. სესი-

ლიამ მაშინვე ვერ შეძლო ფეხზე წამოდგომა. ბოლოს, ავტომატქანიდან გადმობობლდა და ორივე შეხვეული ხელი ტილოს ფრთებივით ასწია. მისის ლისბონმა შეიღოს მარცხენა იდაყვში ხელი ჩაავლო და სახლისკენ წაიყვანა. ამ დროისთვის წვიმა კიდევ უფრო გაძლიერდა და ქუჩის გადაღმა აღარაფერი ჩანდა.

მომდევნო დღეებში სესილიას ხშირად ვხედავდით. პარმალის საფეხურებზე ჯდებოდა, ბუჩქებიდან წითელ კენკრას წყვეტდა და შეექცეოდა ან ხელისგულებზე ისვამდა. ყოველთვის თავისი საქორწინო კაბა ეცვა, შიშველი ფეხები კი ჭუჭყიანი ჰქონდა. საღამოობით, როდესაც წინა ეზოს მზის სხივები ეფინებოდა, სესილია ტროტუარის ნაპრალებში მოფუსფუსე ჭიანჭველებს უყურებდა, ან გათიბულ ბალახში ზურგზე წვებოდა და ღრუბლების მოძრაობას აკვირდებოდა. ერთ-ერთი და ყოველთვის მასთან იყო. ტერეზას საფეხურებზე გამოჰქონდა სახელმძღვანელოების დასტა და შორეული კოსმოსის ფოტოსურათებს თვალს მხოლოდ მაშინ აცილებდა, როდესაც სესილია ეზოს კიდეს უახლოვდებოდა. ლუქსი მიწაზე დაფენილ პირსახოცებზე წვებოდა და ირუჯებოდა, სანამ სესილიას ჯოხით გამოჰყავდა არაბესკები მტვრიან ფეხებზე. ზოგჯერ უახლოვდებოდა თავის მცველებს, ყელზე ეხვეოდა და ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებდა.

ყველას საკუთარი თვალსაზრისი ჰქონდა იმის შესახებ, თუ რატომ სცადა გოგონამ თვითმკვლელობა. მისის ბუელი ამტკიცებდა, რომ ყველაფერში გოგონას მშობლებს მიუძღოდათ ბრალი. „თავის მოკვლა სულაც არ სურდა, – გვითხრა ქალმა, – მხოლოდ ამ სახლიდან თავის დაღწევა უნდოდა“. მისის შირმა კი დაამატა: „ამ სიცრუიდან თავის დახსნა სურდა“. იმ დღეს, როდესაც სესილია საავადმყოფოდან შინ დაბრუნდა, ამ ორმა ქალმა გადანწყობა, თანაგრძნობის ნიშნად, მისის ლისბონისთვის შინ დამზადებული ტორტი მიერთმიათ, მაგრამ მისის ლისბონმა გადაჭრით უარყო, რომ მის ოჯახში უბედურება ტრიალებდა. მრავალი წლის შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ მისის ბუელს კვლავინდებურად თავის ოთახში ეძინა და არა ქმრის – ქრისტიანული მეცნიერების მიმდევრის